

აკაკი ჭანტურია, მეგრული გვარები და სახელები, „არტანუჯი“, თბ., 2006, 128 გვ.

უოველგვარი საკუთარი სახელი – ადგილისა, ადამიანისა, ცხოველ-ფრინველისა... მისი შემქმნელი ხალხის სულიერი კულტურის ნაწილია. მართალია, ტოპონიმი, ანთროპონიმი, ზოონიმი, თეონიმი და ა. შ., უპირ-ველს უოვლისა, ერობრივი ფაქტია, მაგრამ არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, თანაც ჩასაწევდომად უფრო რთული, მათი გარეენობრი-ვი ასპექტები. თუ თითოეულ საკუთარ სახელში ღრმად ჩავიხედავთ, მისი ბგერობრივი არსის მიღმა აღმოვაჩენთ ხალხის ისტორიული თუ რელიგი-ური წარსულის, ეთნოგრაფიული უოფისა თუ უოველდღიური სამეურნეო საქმიანობის, მეზობელი ხალხებთან ურთიერთობის გამოძახილს, ლოგი-კური აზროვნებისა თუ სახელდების მოტივაციის თავისებურებას.

როგორც ცნობილია, უოველგვარი საკუთარი სახელის, მათ შორის ან-თროპონიმის (პირსახელის, მეტსახელის, გვარსახელის) ორგვარი წეარო არსებობს: წერილობითი და ზეპირი. დღევანდლობამდე ჩვენს ეროვნულ თუ რეგიონულ წიგნთსაცავებსა და მუზეუმებში სხვადასხვა სახის მრავალი ისეთი ხელნაწერი არის დაცული და შენახული, რომელთა მზის სინათლეზე გამოტანა და დეტალური მეცნიერული ანალიზი ბევრის მომტანი იქნებოდა არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ აგრეთვე ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიური ცხოვრების, ხალხის უოველდღიური უოფილა და გრძნობების შესწავლისათვის. მაგრამ რაც დაწერილი და აღწერილი შემოგრჩა, თუნ-დაც გერგერობით ხელმიუკარებელი, არ დაიყარგება, დავიწყებას არ მიეცე-მა, ონომასტიკურ მასალას კი (განსაკუთრებით ანთროპონიმს), ფოლკ-ლორისა არ იყოს, უოველი განვლილი ათწლეული აკლებს რაღაც მეტად მნიშვნელოვანს, რომლის შენარჩუნებაზე ზრუნვა არა მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტი მეცნიერ-მკვლევრის, არამედ მთელი სახელმწიფოს საზრუნ-ვი უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ჭართული ანთროპონიმიკის ფასეუ-ლი შენაძენია არქეოლოგ აკაკი ჭანტურიას მიერ შეკრებილი მეგრული გვა-რებისა და, განსაკუთრებით, პირსახელების მასალა, რომლის ერთი ნაწილი დაიბეჭდა თსუ ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კრე-ბულში „ჭართველური ონომასტიკა, II“ (თბ., 2004), ხოლო სრულად გამოსცა „არტანუჯა“ 2006 წელს.

აკ. ჭანტურია (1881-1949) იმ ჭართველთა რიცხვს განეკუთვნება, რომელ-თაც საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა-განათლება მშობლიური ხალხის სამ-სახურში ჩააყენეს: ინგლისში უმაღლეს გეოლოგიურ განათლებას ნაზიარე-ბი, იგი 1920 წელს დაბრუნდა საჭართველოში, მშობლიურ კუთხეს მიაშურა და აქტიურად შეუდგა ზუგდიდში „სამეგრელოს მუზეუმის“ დაარსებას, იყო სიძველეთა დაცვის რწმუნებული, იკვლევდა რეგიონის მატერიალური კულ-ტურის ძეგლებს, ეთნოგრაფიას, ანთროპონიმიას... თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა მისი „ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები სამეგრელოში“ (თსუ შრომები, 227, 1982, გვ. 209-246; გაგრძელება: თსუ შრომები, 283, 1989, გვ. 175-185) და „მასალები მეგრულ-ქართული ეთ-ნოგრაფიული ლექსიკონისათვის“ (თსუ შრომები, 321, 1996, გვ. 213-230).

მეგრული გვარები და სახელები (11600-მდე ერთეული, მათგან გვარები – 4300-მდე, სახელები – 7300-მდე) აკ. ჭანტურიას ჩაუწერია ძირითადად დას. საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებში (სოფლები ანაკლია, ახალი ხიბულა, ახუთი, დარჩელი, დიდი წერი, ზუგდიდი, კახათი, კირცხი, ლეღვაცხები, ლეწურწუმე, ლია, ნარაზენი, ნიკოსია, ობუჯი, საჩინო, საჯიჯაო, ქარიატა, გულისკარი, შუა ხორგა, ცაიში, ჭაქვინჯი, ჭკადუაში, ხიბულა, ხობი, ხორგა, ჭიხაშკარი). დასახელებული სოფლები დასავლეთ სამეგრელოშია განლაგებული. წიგნში შეტანილ გვართა სიას, უპირველეს უოვლისა, შეუძლია შეგვიქმნას წარმოდგენა ზოგ გვარზე, რომელიც ფაქტურად დღეს აღარ არსებობს, მაგრამ შემოგვინახა ანთროპოლოგიმა. მაგალითად, წალენჯიხის რ-ნის მუჟავაში ბორცვს ეწოდება საბებელიო. გადმოცემით, უწინ ამ ბორცვზე გვარად ბებელიები ცხოვრობდნენ. ეს გვარი ამჟამად არსად დასტურდება. მაგრამ აკ. ჭანტურიას მიერ შედგენილ სიაში იგი შეტანილია. უნდა ვიფიქროთ, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში აქ ამ გვარის თურდაც ერთი წარმომადგენელი მაინც ცხოვრობდა. ამის გარდა, წიგნის ავტორს 30-იან წლებშივე ჩაუწერია გვარი გვაძა, გვაძავა. ამჟამად არც ეს გვარი დასტურდება სამეგრელოში, მაგრამ მას აღადგენს ანთროპოლოგიმი საგვაზა (სოფ. ზენი, ნოჯიხევის თემი). მსგავსი მაგალითები შეიძლება რამდენიმე ათეული დაიძებნოს... მეორე მხრივ, აღნიშნულ წიგნში შეტანილია გვარები, რომლებიც დასახელებულია შუა საუკუნეების საეკლესიო დავთრებში, მაგრამ შემდეგ არ ჩანს. კერძოდ: 1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ ვკითხულობთ: „მართებს ციბუკიას გამცემიას...“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 456), „მართებს გუბუჭურვას გამიცემიას...“ (იქვე). (ორივე სოფ. დარჩელის მცხოვრებია). სხვა მაგალითი: ამავე საისტორიო წყაროში დასახელებულია ხუხულია ადამელია (იქვე, III, გვ. 465). გვარი ადამელია გასული საუკუნის დამლევისათვის გამქრალი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ნახევარი საუკუნით ადრე ამ გვარს ჯერ კიდევ ატარებდა სოფ. ჩოხათის ერთი მცხოვრები მაინც, როგორც ეს ჩანს სარეცენზიონი წიგნიდან. საცაიშლო ბეგრის გადამხდელთა შორის დასახელებულია მახარებელი აბუსერია (იქვე, III, გვ. 443). XX ს-ის დამლევის სამეგრელოში არც ეს გვარი (აბუსერია) ჩანს... სხვა მრავალი მაგალითითაც შეიძლება დავოწმუნდეთ, რომ XVII ს-ის პირველ ნახევარში დაფიქსირებული ზოგი გვარი XX ს-ის დამდეგისათვის უკვე გამჭრალია.

აკ. ჭანტურიას მიერ შედგენილი პირსახელთა სია ასევე იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ქართული სამართლის ძეგლების მრავალტომეულში დასახელებულ საეკლესიო გლეხებს იშვიათად ჰქვიათ კალენდარული სახელები: „აფხაზეთის საკათალიკოზო მოსაკრებ-

ლობის დავთრის“ (1621 წ.) მიხედვით, ოდიშის სოფლებში (ნაგვაზავო, საჭურულორიო, ხიბულა, ნაჟანეული, ხოირი, თილითი, ხაუელი, ტყავრუ, ჭალა) (იქვე, III, გვ. 412-435) დასახელებულია 300-მდე საეკლესიო გლეხი (უმეტესობა სახელითა და გვარით, მცირე ნაწილი კი – ან ოდენ გვარით, ან – ოდენ სახელით), რომელთა დიდზე დიდ უმეტესობას ჰქვია კოლხური სახელი ან მეტსახელი (მახარებელი, ბუხუტია, ოფიშეუა, სტუმარია, გვიგვა, უჩაკოჩი, გამიგონა, მახიოლა, მახუტოლია, სომიხერდა, უღვინობა, უჩაია, ობიშხა, თოლიშია, კოჩია, თოლიორჯო, თოსკუამია, მირჩქილია, სოხერდია, კოჩიგარა, მიძირუდა...), ხოლო საეკლესიო (კალენდარული) სახელი მხოლოდ რამდენიმეა: ივანე (3), გიორგი (3), იოვანე (2), გრიგოლია. მაშასა-დამე, ამ ერთი დავთრის მიხედვით, კანონიკურ პირის სახელთა ხვედრითი წონა ოდიშში მხოლოდ და მხოლოდ 0,3%-ია. დაახლოებით ასეთივე პროპორცია დაცული აკ. ჭანტურიას მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში შეკრებილ მეგრულ სახელებიც.

დასკვნა: მართალია, როგორც არიანე ჭანტურია (აკ. ჭანტურიას ვაჟი) აღნიშნავს, „სამწუხაროდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელები-სა და გვარების ახსნა-განმარტება (წარმოშობა, სქესობრივი მიკუთვნება) ავტორს შეუსრულებელი დარჩა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკ. ჭანტურიას „მეგრული სახელები და გვარები“ მრავალმხრივ საინტერესო წყაროა ქართველური, კერძოდ კი კოლხური, გვარ-სახელების კვლევისათვის.

პაატა ცხადაია

Tavili - The Traditional Oral Translation of the Bible in Judeo-Georgian. A Critical Edition of Genesis, Part I. The Text, By Reuven Enoch, Publication of the Hebrew University, Jewish Oral Tradition Research Center XXVIII, Edited by Aharon Maman. Jerusalem, 2008, 265 p.

[თავსილი – ბიბლიის ტრადიციული ზეპირი იუდეურ-ქართული თარგმანი. დაბადების კრიტიკული გამოცემა, ნაწ. I, ტექსტი, რეუვენ ეროხის მიერ. ებრაული უნივერსიტეტის პუბლიკაცია, ებრაული ზეპირი ტრადიციის შემსწავლელი ცენტრი XXVIII, აჳარონ მამანის რედაქციით, იერუსალიმი, 2008, 265 გვ.]

რეუვენ ეროხის (რუბენ ენუქაშვილის) ეს პუბლიკაცია ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენია, კერძოდ, ქართველოლოგიაში, რამდენადაც იგი ქართული ენის დღემდე უცნობ პლასტს შეიცავს, და, ბუნებრივია და ალბათ, პირველ რიგში, ებრაისტიკისთვის, რამდენადაც იგი ახალ ფურცელს შლის ბიბლიის თარგმანების (თარგუმების) ისტორიაში. თავსილის სახით ჩვენს წინაშეა დაბადების წიგნის ზეპირად შესრულებული ტექსტები, რომ-